

გრამატიკული დროების გამოყენების პრობლემატიკა ზეპირ მეტყველებაში: სტუდენტთა გამოკითხვა

ქიტიაშვილი ნონა – მოწვეული სპეციალისტი; დოქტორანტი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი; იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გორი, საქართველო

მიქელაძე თამარ – ასოცირებული პროფესორი, განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თელავი, საქართველო

The Usage of Grammar Tenses While Speaking English: A Survey of University Students

Kitiashvili Nona – Invited Specialist; PhD Student, Faculty of Humanities, Gori State Teaching University; Iakob Gogebashvili Telavi state University, Gori, Georgia

Mikeladze Tamar – Associate Professor, Faculty of Educational Sciences, Iakob Gogebashvili Telavi state University, Telavi, Georgia

Abstract

Introduction and aim: Nowadays teaching speaking is generally perceived as one of the most difficult and fundamental skills to acquire. Students encounter difficulties in speaking especially in the use of grammar tenses and they consider it as the main skill that should be improved. The goal of the paper is to examine the difficulties connected with speaking and suggest some speaking activities which seem most suitable for English language learners. It describes the main grammar difficulties faced by students while speaking and it deals with the main strategies used by teachers that seem to be helpful for EFL learners.

Research methodology: The paper is the empirical phase of this study. The research tools and procedure used by the researcher to collect data from 70 EFL learners from Tbilisi, Telavi and Gori State Universities in 2016 are described thoroughly.

Results and implications: The analysis of EFL learners' questionnaire and discussion of the obtained results are presented. The results are clearly indicated that students are failed to speak English.

Conclusion: The main reason of failure in speaking English of majority of students is lack of practice. Finally, some recommendations to achieve a successful teaching/learning process are proposed.

Keywords: speaking skills, teaching speaking, grammar tenses, speaking difficulties

1 შესავალი

საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში, ინტერესი აღნიშნული საკითხის მიმართ კი საგრძნობლად გაძლიერდა ბოლო ხანებში. სასწავლო გეგმის მიხედვით, საქართველოში სკოლის მოსწავლეები პირველივე კლასიდან იწყებენ ინგლისური ენის სწავლას, მიუხედავად ამისა, უცხო ენის (ინგლისური ენის) შემსწავლელისათვის განსაკუთრებით დიდ სირთულეს წარმოადგენს გრამატიკული დროების სწორად გამოყენება ზეპირ მეტყველებაში. მეორე ენის შემსწავლელები შეიძლება ფლობდნენ

ინგლისურ ენას საკმაოდ მაღალ დონეზე, მაგრამ ისინი საკმაოდ დიდ სირთულედ მიიჩნევენ გრამატიკული დროების სწორად გამოყენება ზეპირ მეტყველებაში. სწორედ ამიტომ შევარჩიეთ ეს საკითხი საკვლევად.

საკმაოდ ბევრი კვლევაა ჩატარებული სხვადასხვა ქვეყნებში არსებული პრობლემის დაძლევის გზების დადგენისთვის ინგლისური ენის სწავლების პროცესში და გვიჩვენებს, რომ მაინცდამაინც სახარბიელო შედეგები არ არის (Thornbury, 2005). აქ, განსაკუთრებით ხაზს ვუსვამ ბოლო რამდენიმე წელიწადს, როდესაც მეტყველებას და მის სწავლებას ბოლოსდაბოლოს დაეთმო იმ ოდენობის ყურადღება, რასაც იგი ნამდვილად იმსახურებს ავტორების სორნბერის (Thornbury, 2005), ნეიშენის და ნიუტონის (Nation and Newton, 2009), ჰიუსის (Hughes, 2011), და ა.შ. წიგნების სახით. ადამიანების უმეტესობისთვის, უცხოურ ენაზე საუბრის უნარი ამა თუ იმ ენის ცოდნის სინონიმს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, "მეორე ან უცხო ენაზე საუბარი ხშირად განიხილება, როგორც ყველაზე რთული ოთხ უნარს შორის" (Bailey & Savage 1994, გვ.7).

ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების სწავლება უცხო ენის სწავლა/სწავლების მნიშვნელოვანი კომპონენტია. საუბარი არის ენის შემსწავლელთა წინაშე მდგომი ერთ-ერთი ყველაზე რთული უნარი. მიუხედავად ამისა, ტრადიციულად, მეტყველების კომპონენტი გადატანილია უკანა პლანზე, ვინაიდან ინგლისური ენის მასწავლებლები გაკვეთილის უმატეს დროს უთმობენ წერის, კითხვის და ზოგჯერ უცხო ენის მოსმენის კომპონენტის სწავლებას, რადგან გრამატიკას აქვს ხანგრძლივი წერილობითი ტრადიცია (Bueno, Madrid და McLaren, 2006, გვ. 321).

ინგლისურ ენაზე საუბრისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს გრამატიკის ცოდნა, მაგრამ წესების დაზეპირებით ვერ მივაღწევთ სასურველ შედეგს, რადგან სტუდენტმა შეიძლება ერთი წინადადებაც კი ვერ ააწყოს და ჩამოაყალიბოს გრამატიკაზე ფიქრით. ამიტომ უმჯობესია, გრამატიკული წესები ვიზუალიზაციის სახით იყოს წარმოდგენილი შემსწავლელისათვის, რათა შეძლოს გრამატიკული ფორმების მართებულად გამოყენება ლაპარაკის დროს.

ინგლისურ ენაში, გრამატიკული დროების სწორად ჩასმა და გამოყენება არის ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილი და ამავედროულად ყველაზე რთულად შესასწავლი. ენის შემსწავლელებს უწევთ დიდი დროის ხარჯვა რომ გამართულად გამოიყენონ გრამატიკული დროები ზეპირ მეტყველებაში.

2 კვლევის მეთოდოლოგია და მიღებული შედეგები

ჩვენი კვლევის მიზანია ავღწეროთ, ის სირთულეები რაც თან ახლავს ინგლისურ ენაზე საუბრისას გრამატიკული დროების მართებულად გამოყენებას. კვლევის მეთოდი არის რაოდენობრივი მოსწავლეთა კითხვარზე დაყრდნობით. კითხვარი მიზნად ისახავდა დაედგინა, თუ


რამდენად იყო ინგლისური ენის სწავლება ორიენტირებული საუბრის უნარ-ჩვევების განვითარებაზე და რომელი მეთოდების თუ მიდგომების გამოყენებით ხორციელდებოდა საუბრის სწავლება.

ექსპერიმენტის დაწყებამდე ზემოთ აღნიშნული საკითხის საფუძვლიანად შესწავლის მიზნით, რაოდენობრივი კვლევა ჩავატარეთ საქართველოს სამ უნივერსიტეტში: გორის, თელავის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტებში ჰუმანიტარულ და სოც. მეცნიერებათა ფაკულტეტებზე 2015-2016 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში. შევადგინეთ სპეციალური კითხვარი სტუდენტებისათვის, რომელიც შედგებოდა სხვადასხვა ფორმატის კითხვა-პასუხისგან. გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო სულ 70-მა სტუდენტმა და გრძელდებოდა ერთი სემესტრის განმავლობაში. რესპოდენტთა ასაკი მერყეობდა 18 - 24 წლებს შორის. თითოეული აზრი დაფიქსირებულ იქნა წერილობით ანონიმურობის დაცვით.

სტუდენტებს ვთხოვეთ ეპასუხათ კითხვებზე და შემოეხაზათ ან ჩაეწერათ მათთვის შესაფერისი სწორი პასუხები. გამოკითხვის შედეგები დაგვეხმარა ჩვენი ჰიპოთეზის სრულყოფაში და ექსპერიმენტის სწორად წარმართვაში.

საქართველოს სამ უმაღლეს სასწავლებელში ჩატარებული დიაგნოსტიკური ექსპერიმენტის დასრულებისას კითხვარის შედეგები სტატისტიკურად დავამუშავეთ. SPSS პროგრამის მეშვეობით გამოვითვალეთ საშუალო არითმეტიკული და სტანდარტული გადახრა (იხ. დანართი №2). დემოგრაფიულ მონაცემებს რაც შეეხება, სქესის მიხედვით გამოკითხულთა 22% იყო მამრობითი სქესის წარმომადგენელი, ხოლო 78% - მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.


კვლევაში მონაწილეთა პროცენტული წილი უნივერსიტეტების მიხედვით იყო შემდეგნაირი: თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 5%; თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 28%; გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 50%;



დიაგრამა 1. კითხვარის შედეგები დამუშავებულია პროგრამა SPSS-ის საშუალებით.

სტატიაში წარმოდგენილი ინფორმაციები არის საშუალება ავხსნათ ნამდვილად დგას თუ არა ზეპირი მეტყველების პრობლემა უმაღლეს სასწავლებლებში ინგლისურ ენაზე გრამატიკული დროების გამოყენების თვალსაზრისით. კვლევის ცდომილობა შეადგენს ±5%.

დავინტერესდით თუ რამდენად ხშირად საუბრობდნენ ინგლისურად, რადგან საინტერესოა რამდენად შეუძლიათ ცოდნის გამოყენება და საუბარი ყოველდღიურად. რესპონდენტთა 37% საუბრობს იშვიათად; თითქმის არასდროს - 8%; კვირაში ერთი-ორჯერ - 37%; ყოველდღე 15%, ხოლო პასუხზე უარი განაცხადა 3%-მა.



დიაგრამა 2. სტუდენტების მიერ ინგლისურად საუბრის სიხშირის გამოჩატველი მაჩვენებლების გრაფიკული გამოსახულება

კითხვაზე თუ როგორ შეაფასებდნენ საკუთარი საუბრის უნარ-ჩვევებს ინგლისურ ენაზე, გამოკითხულთა - 5% ძალიან კარგად აფასებს, კარგად - 23%, საშუალოდ - 55%; ცუდად - 13%; ძალიან ცუდად კი - 3%.

რესპონდენტებს ვეკითხებოდით მოსწონთ თუ არა ინგლისურ ენაზე საუბარი, რათა გაგვეჩვენებინა რამდენად მოსწონთ მათ ინგლისური ენა. შესაბამისად რესპონდენტთა 30% ამბობს - ძალიან მომწონს; 60% - მომწონს; 8% - არ მომწონს; ხოლო ძალიან არ მომწონს - 2%.

წინა შეკითხვის შემდგომ საინტერესო იყო, თუ რამდენად ხშირად საუბრობდნენ ინგლისურად, რადგან საინტერესოა რამდენად შეუძლიათ ცოდნის გამოყენება და საუბარი ყოველდღიურად. რესპონდენტთა 37% საუბრობს იშვიათად; თითქმის არასდროს - 8%; კვირაში ერთი-ორჯერ - 37%; ყოველდღე 15%, ხოლო პასუხზე უარი განაცხადა 3%-მა.

საინტერესო იყო გამეგო რესპონდენტებისაგან უჭირთ თუ არა გამართულად საუბარი ინგლისურ ენაზე, შესაბამისად: 68%-ს უჭირს გამართულად საუბარი, ხოლო არ უჭირს - 32%-ს.

წინა შეკითხვებიდან გამომდინარე საჭირო იყო გამეგო არის თუ არა დამღლევი და გამაღიზიანებელი ინგლისურ ენაზე საუბარი გამოკითხულთათვის, მათი 18%- სთვის დამღლევი და გამაღიზიანებელია; 82%-თვის კი - არა.

განსაკუთრებით საინტერესოა სტუდენტთა დამოკიდებულება შემდეგ შეკითხვაზე: არის თუ არა გრამატიკა მნიშვნელოვანი როდესაც საუბრობთ ინგლისურად, რესპონდენტთა აბსოლიტური უმრავლესობა 92% აღნიშნავს რომ მნიშვნელოვანია, ხოლო 8%-ს უმნიშვნელოდ მიაჩნია.

შეკითხვაზე, თუ რა ტიპის აქტივობებს აკეთებენ რესპონდენტები საუბრის განსავითარებლად, აღმოჩნდა, რომ როლური თამაშებს იყენებს - 9%; დიალოგებს - 56%; სურათის აღწერას - 20%; დებატებს - 10%; სხვა ტიპის აქტივობებს მიმართავს - 3%; ხოლო უარი პასუხზე განაცხადა 3%-მა.

საინტერესო იყო თუ რა პბლემები აქვთ რესპონდენტებს ინგლისურად საუბრის დროს, შესაბამისად გამოკითხულთა: 30% ამბობს, რომ ნერვიულობს გრამატიკული დროების არასწორ გამოყენებაზე; არ ჰყოფნის სიტყვების მარაგი - 21%; საუბრობ ნელა, ან საერთოდ არ საუბრობს - 15%; ვერ აწყობს ინგლისურ აზრს - 10%; არ აქვს მოტივაცია, რომ წარმოაჩინოს საკუთარი თავი - 9%; უჭირს შეკითხვის დასმა - 7%; საკუთარი აზრის გამოთქმისა სრცხვენია - 5%; ხოლო არანაირი პრობლემა არ გააჩნია - 2%.

კვლევისას რესპონდენტებს ვთხოვდი, რომ მოენიშნათ ის დროები რომლებსაც ხშირად იყენებდნენ საუბრისას. ყველაზე ხშირად გამოკითხულთა 14% იყენებს Present Simple, ასევე Past Simple - 14%; Future Simple - 12%; Present Continuous - 12%; Past continuous - 10%; Present perfect - 10%; Past perfect - 7%; Future continuous - 7%; Future perfect - 5%; Present perfect continuous - 4%; Past perfect continuous - 3%; Future perfect continuous - 2%.

საინტერესო იყო გაგვეგო, გრამატიკული დროის ახსნის შემდეგ, ინგლისური ენის გაკვეთილზე/ლექციაზე ვარჯიშობენ თუ არა საუბარში ამ დროის გამოყენებაზე და გაირკვა, რომ 65% ვარჯიშობს, ხოლო 35% - არ ვარჯიშობს.


რესპონდენტებს კვლევისას სკალების მეშვეობით ვთხოვდი აღენიშნათ მოცემული ცოდნის გამოყენების სიმარტივე და/ან სირთულე. კერძოდ მათ ანკეტაში ჰქონდა 3 გრამატიკული დროის გამოყენება და მათ ხუთქულიანი სკალის მეშვეობით უნდა აღენიშნათ მისი გამოყენების სიმარტივე/სირთულე.

„განგრძობითი დროების გამოყენება საუბრის დროს“: ძალიან ადვილია - 22%; ადვილია - 28%; არც ადვილია და არც ძნელია - 38%; ძნელია -5% და ასევე ძალიან ძნელია ამბობს 5%;

„მარტივი დროების გამოყენება საუბრის დროს“: ძალიან ადვილია - 37%; ადვილია - 32%; არც ადვილია, არც ძნელია - 13%; ძნელია -7%; ძალიან ძნელია - 10%;

„სრული დროების გამოყენება საუბრის დროს“: ძალიან ადვილია - 2%; ადვილია - 20%; არც ადვილია, არც ძნელია - 37%; ძნელია - 23%; ძალიან ძნელია - 15%;

საინტერესო იყო თუ რამდენად ხშირად უსწორებდა მასწავლებელი შეცდომებს ინგლისურად საუბრის მომენტში, შედეგები ასე გადანაწილდა: გამოკითხულთა 15% ამბობს - ყოველთვის მისწორებს; ხშირად - 28%, იშვიათად - 27%; ზოგჯერ - 27% და არასოდეს - 5%.



დიაგრამა 3. მასწავლებლის მიერ შესწორებული შეცდომების სიხშირის მაჩვენებლების გრაფიკული გამოსახულება

ანკეტირების შედეგად აღმოჩნდა, რომ, ენის შემსწავლელისათვის გრამატიკული დროების სწორად გამოყენება საუბრის პროცესში მართლაც დიდ სირთულეს წარმოადგენს.

3 დასკვნა-რეკომენდაციები

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას რომ, ზეპირი მეტყველების უნარ-ჩვევების განვითარება საკმაოდ რთული პროცესია, რასაც თან ერთვის ხშირ შემთხვევაში სიმორცხვე ან შეცდომის დაშვების შიში, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს გრამატიკული სტრუქტურების არცოდნით. ამიტომ საჭიროა დავეგმოთ სტუდენტებისთვის საინტერესო და სახალისო აქტივობები. ზემოთ განხილული საკითხების საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები:

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც სტუდენტები გამოთქვამენ უკმაყოფილებას ენის სწავლების (LT) არაეფექტურობის შესახებ როდესაც საქმე ეხება მეტყველებას, არის "რეალური სასაუბრო აქტივობების" დეფიციტი (Thornbury 2005, გვ. 28).

ჩვენი კვლევის შედეგები მხარს უჭერს სორნბერის (Thornbury, 2005) მოსაზრებას, რომ სტუდენტებს ესაჭიროებათ პრაქტიკული უნარების გასაუმჯობესებელი ბევრი შესაძლებლობა და ინტერაქტიული აქტივობები და მასწავლებლები ვერ ახერხებენ აღნიშნულის უზრუნველყოფას გაკვეთილზე.

წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს ინგლისური ენაზე ზეპირი მეტყველების გაუმჯობესებას, როგორც სასკოლო ისე საუნივერსიტეტო საფეხურებზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bailey, K.M., & Savage, L. New ways in teaching speaking. // Alexandria, VA: Teachers of English to Speakers of Other Languages. (1994).
2. Bueno, A, D. Madrid and N. McLaren, (eds). TEFL in Secondary Education. Granada: Editorial Universidad de Granada. (2006)
3. Hughes, R. Teaching and researching speaking. 2nd edition. Harlow: Longman. (2011)
4. Nation, I. S. P. and Newton J. Teaching ESL/EFL listening and speaking. (2009)
5. Thornbury, S. How to Teach Speaking. Harlow: Longman. (2005)